



დოქტორანტის სემინარის ინსტრუქცია

1. დოქტორანტი, საგანმანათლებლო პროგრამის გეგმის მიხედვით, ამზადებს ერთ ან რამდენიმე თემატურ სემინარს. განხორციელებული სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაცია და შესაბამისი თემატური სასემინარო ნაშრომის დაცვა ხორციელდება აუდიტორიის წინაშე.
2. სამეცნიერო - თემატური სემინარის ძირითადი მიზანია დოქტორანტს:
 - შესძინოს კონკრეტული დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
 - გამოუმუშავოს პრობლემის სწორად და ეფექტურად გადაწყვეტის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების გამოყენების, საკითხის კრიტიკული გააზრებისა და ინოვაციური მეთოდებით შესწავლის, აგრეთვე თემატურ დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.
3. თითოეული თემატური სემინარის კრედიტების მოცულობა განისაზღვრება საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამით.
4. სასემინარო ნაშრომის თემას არჩევს დოქტორანტის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით.
5. სასემინარო ნაშრომის თემა უნდა ეძღვნებოდეს დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხებს და იგი არ უნდა იყოს სადისერტაციო თემის ნაწილი.
6. თემატური სემინარის ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15 გვერდისა დანართების გარეშე. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე, სტანდარტული Unicode შრიფტით (მაგალითად Sylfaen), ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალის არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.
7. სემინარის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად დოქტორანტი სასემინარო ნაშრომს წარუდგენს ხელმძღვანელს სასწავლო სემესტრის მე-13 კვირაში. ხელმძღვანელი 4 კომპონენტის საფუძველზე, ახორციელებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შუალედურ შეფასებას (დანართი 1). ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ ფასდება მაქსიმუმ 60 ქულით
8. დასკვნითი შეფასების მიზნით, თემატური სასემინარო ნაშრომი, ხელმძღვანელის შუალედური შეფასებით, შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

მე-15 სასწავლო კვირისა) წარედგინება სკოლის საბჭოს. დასკვნით შეფასებაზე მიიღება ნაშრომი, თუ მისი შუალედური შეფასება იქნება 11 ქულა ან მეტი.

9. წარდგენილი სასემინარო ნაშრომის საფუძველზე, სკოლის საბჭოს მდივანი ახდენს სემინარის ორგანიზებას.

10. სემინარზე დოქტორანტის ნაშრომს აფასებს არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ქმნის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კომისიაში შეიძლება შევიდნენ სკოლის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და მოწვეული სპეციალისტები. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

11. ინფორმაცია სემინარის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე სემინარის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, რათა ნებისმიერ მსურველს შეეძლოს მასზე დასწრება.

12. სემინარის ფარგლებში დოქტორანტი წარადგენს სასემინარო მუშაობის შედეგებს (20–30 წუთი), რასაც მოჰყვება დისკუსია.

13. სასემინარო ნაშრომის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას კომისიის თითოეული წევრი ახდენს 4 კომპონენტის საფუძველზე მაქსიმუმ 40 ქულით (დანართი 2). თემატური სასემინარო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მაქსიმუმია 40 ქულა. დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების არითმეტიკული საშუალოთი.

14. დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური შეფასების (მაქსიმუმ 60) და დასკვნითი შეფასების (მაქსიმუმ 40) ქულათა ჯამით

15. სემინარის უარყოფითი "Fx" შეფასების შემთხვევაში (41-50 ქულა), დოქტორანტს ეძლევა უფლება იმავე სემესტრში განმეორებით წარადგინოს ნაშრომი დასკვნით შეფასებაზე. ძირითადი დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე უნდა იყოს გასული განმეორებით დასკვნით გამოცდამდე.

16. სემინარის უარყოფითი "F" შეფასების შემთხვევაში (41 ქულაზე ნაკლები), დოქტორანტს განმეორებით ექნება შესასრულებელი ნაშრომი.



თემატური სემინარის შუალედური შეფასების კრიტერიუმები

1. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა - მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა

12-15 ქულა	მომიებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება თემის მოთხოვნებს.
9-11 ქულა	მომიებული ინფორმაცია შეესაბამება თემის მოთხოვნებს.
6-8 ქულა	მომიებული ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება თემის მოთხოვნებს.
1-5 ქულა	მოპოვებული ინფორმაცია ნაკლებად შეესაბამება თემის მოთხოვნებს.
0 ქულა	მოპოვებული ინფორმაცია არ შეესაბამება თემის მოთხოვნებს.

2. სემინარის თემის შესაბამისობა დარგის პრობლემატიკასთან - მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა

12-15 ქულა	სემინარის თემა შეესაბამება დარგის პრობლემატიკას.
9-11 ქულა	სემინარის თემა არსებითად შეესაბამება დარგის პრობლემატიკას
6-8 ქულა	სემინარის თემა ნაწილობრივ შეესაბამება დარგის პრობლემატიკას
1-5 ქულა	სემინარის თემა ნაკლებად შეესაბამება დარგის პრობლემატიკას
0 ქულა	სემინარის თემა არ შეესაბამება დარგის პრობლემატიკას

3. ჩატარებული კვლევის ხარისხი/მაქსიმალური შეფასება - 15ქულა

12-15 ქულა	კვლევის ხარისხი მაღალია.
9-11 ქულა	კვლევის ხარისხი მისაღებია.



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

6-8 ქულა	კვლევის ხარისხი დამაკმაყოფილებელია.
1-5 ქულა	კვლევა მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს.
0 ქულა	კვლევის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

4. ინფორმაციის ანალიზი და დასკვნები - მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა

12-15 ქულა	ინფორმაციის ანალიზი ღრმა და მიზნობრივია, დასკვნები - დასაბუთებული.
9-11 ქულა	ინფორმაციის ანალიზი მიზნობრივია, დასკვნებში შეინიშნება მცირე ხარვეზები.
6-8 ქულა	ინფორმაციის ანალიზი დამაკმაყოფილებელია, დასკვნები მისაღები.
1-5 ქულა	ინფორმაციის ანალიზი ზედაპირულია, დასკვნები - ნაწილობრივ დასაბუთებული.
0 ქულა	ინფორმაციის ანალიზი არადამაკმაყოფილებელია; დასკვნები - მცდარი



თემატური სემინარის დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები

1. სემინარის თემის აქტუალობა - მაქსიმუმ 10 ქულა

9-10 ქულა	სემინარის პრობლემატიკა აქტუალურია.
7-8 ქულა	სემინარის პრობლემატიკის ზოგიერთი ასპექტი აქტუალურია.
5-6 ქულა	სემინარის პრობლემატიკა ნაწილობრივ აქტუალურია.
1-4 ქულა	სემინარის პრობლემატიკა ნაკლებად აქტუალურია.
0 ქულა	საკვლევი პრობლემა/საკითხი არ არის აქტუალური.

2. მასალის ინფორმატიულობა; ანალიზი - მაქსიმუმ 10 ქულა

9-10 ქულა	წარმოდგენილი მასალა ინფორმატიულია, ანალიზი ჩატარებულია მაღალ დონეზე.
7-8 ქულა	წარმოდგენილი მასალა ინფორმატიულია, ანალიზი ჩატარებულია სათანადო დონეზე.
5-6 ქულა	წარმოდგენილი მასალა ნაწილობრივ ინფორმატიულია, ანალიზი - დამაკმაყოფილებელი.
1-4 ქულა	მასალა ნაკლებად ინფორმატიულია, ანალიზი - ზედაპირული.
0 ქულა	წარმოდგენილი მასალა არაინფორმატიულია, ანალიზი - არადამაკმაყოფილებელი.

3. კვლევის დასკვნები და შედეგები, მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა

9-10 ქულა	კვლევის დასკვნები და შედეგები დასაბუთებული და ლოგიკურია.
-----------	--



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

7-8 ქულა	კვლევის დასკვნები ძირითადად დასაბუთებულია.
4-6 ქულა	კვლევის დასკვნები და შედეგები ნაწილობრივ დასაბუთებულია.
1-3 ქულა	კვლევის დასკვნები და შედეგები ნაკლებად დასაბუთებულია.
0 ქულა	კვლევის დასკვნები და შედეგები დასაბუთებული არ არის.

4. თემის წარდგენის უნარი, მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა

9-10 ქულა	წარმოდგენილი მასალა გამართული და დამაჯერებელია.
7-8 ქულა	მსჯელობა სათანადო დონეზეა.
4-6 ქულა	მსჯელობა დამაკმაყოფილებელია.
1-3 ქულა	მსჯელობა ნაკლოვანი და ფრაგმენტულია.
0 ქულა	მსჯელობა არადამაკმაყოფილებელია.